



დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 12 ოქტომბერი

დისციპლინური საქმე №297/18-1  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2018 წლის 07 დეკემბრის №-- საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 28 დეკემბრის №-- წერილით მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 27 თებერვალს.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:**

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მის მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის დროს, მოსამართლე არღვევდა ბრალდებულის უფლებებს. კერძოდ, ბრალდებულს არ აძლევდა კითხვების დასმის შესაძლებლობას და ხშირად ემუქრებოდა სხდომათა დარბაზიდან გაძევებით. საჩივრის ავტორი ასევე არ ეთანხმება მოსამართლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, მტკიცებულებათა შეფასებებთან და სასამართლოზე წარდგენილ შუამდგომლობებთან დაკავშირებით.

**2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2017 წლის 13 მარტს, სს საქმე ბრალდებულების --- და --- მიმართ არსებითად განსახილველად გადაეცა --- სასამართლოს მოსამართლე ---.

სასამართლო სხდომის ოქმების დეტალური შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ 2017 წლის 15 მაისის სასამართლო სხდომის 15:41:05 საათზე, როდესაც მოწმის სახით ჯვარედინი წესით იკითხებოდა ---, მოსამართლემ საკუთარი ინიციატივით, ისე რომ მოწინააღმდეგე მხარეს კითხვა არ გაუხდია სადავოდ, განარიდა ბრალდებულის მიერ მოწმის მიმართ დასმული შეკითხვა.

ასევე დადგინდა, რომ 2017 წლის 01 ივნისის სასამართლო სხდომის მიმდინარეობის 14:24:06 საათზე, როდესაც მოწმის სახით იკითხებოდა ---, მოსამართლე --- ბრალდებულ ---, ჯვარედინი დაკითხვის ფარგლებში, არ მისცა კითხვების სრულყოფილად დასმის შესაძლებლობა. ამასთან, ბრალდებულის

პროტესტზე, რომ იგი ატარებდა დაკითხვას და გააჩნდა დამატებით კითხვები, მოსამართლემ ბრალდებულს განუმარტა და მიმართა შემდეგი სიტყვებით: „თქვენ აქ არაფერს არ ატარებთ. თქვენი ვალდებულებაა დაიცვათ წესრიგი დაემორჩილოთ მოსამართლის მითითებებს. და რაც შეეხება დაკითხვას, დაკითხვას კი არ ატარებთ უფლება გაქვთ მონაწილეობა მიიღოთ დაკითხვის პროცესში.“

-- -- სასამართლოს 2017 წლის 25 ივლისის განაჩენით, -- -- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ და „ა“ ქვეპუნქტებით, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით (ორი ეპიზოდი) და 238<sup>1</sup> მუხლის მე-2 გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის და სასჯელის სახით განესაზღვრა 08 (რვა) წლით თავისუფლების აღკვეთა.

### 3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 27 თებერვლის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა“ (2020 წლის 1 იანვარმდე მოქმედი რედაქცია).

მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში სამოსამართლო ქცევის სტანდარტების დაცვა ერთ-ერთ უმნიშველოვანეს საკითხს წარმოადგენს სასამართლოსადმი ნდობის განმტკიცების თვალსაზრისით. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნაში აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი, სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი.

აქედან გამომდინარე, მოსამართლეებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები რაიმე სახის უპირატესობის, მიკერძოების ან წინასწარ შექმნილი განწყობის გარეშე, გადაწყვეტილების მიღებისას, მათ არ უნდა გაითვალისწინონ რაიმე, რაც სამართლის ნორმების გამოყენების ფარგლებს სცდება. საქმის განხილვისას ან თუ მათ საქმის განხილვა დაევაღათ, მათ შეგნებულად არ უნდა მისცენ თავს უფლება გააკეთონ რაიმე კომენტარი, რომელიც საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას მიკერძოების რაიმე ვარაუდსაც კი გამოიწვევს ან შეიძლება გავლენა იქონიოს საქმის სამართლიან განხილვაზე. მოსამართლეებმა პატივისცემა უნდა გამოიჩინონ საქმის მონაწილე ყველა პირისადმი (მაგ., საქმის მხარეები, მოწმეები, ადვოკატი) რაიმე სახის განსხვავების გარეშე, რომელიც კანონს არ ეფუძნება ან შეუთავსებელია სამოსამართლო ფუნქციების ჯეროვნად შესრულებასთან. თავიანთი მოვალეობების შესრულებისას, მოსამართლეებმა უნდა იმოქმედონ ისე, რომ მათი პროფესიული კომპეტენტურობა თვალსაჩინო იყოს.<sup>1</sup>

საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განხორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით. ხოლო მე-10 მუხლით შესაბამისად, მოსამართლე ვალდებულია უზრუნველყოს პროცესის მონაწილეთა კანონის წინაშე თანასწორობა.

აღნიშნულთან მიმართებაში აგრეთვე მნიშვნელოვანია ბანგალორის პრინციპები, რომლის თანახმად, სასამართლოს წინაშე ყველას მიმართ თანასწორ მოპყრობის უზრუნველყოფას არსებითი მნიშვნელობა

<sup>1</sup> იხ. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა №3 (2002)

აქვს სასამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას. სამოსამართლო ფუნქციების განხორციელებისას მოსამართლემ თავისი სიტყვებით ან ქცევით არ უნდა გამოავლინოს გადახრა ან წინასწარი განწყობა ვინმე პიროვნების ან ჯგუფის მიერ ირელევანტური საფუძვლის გამო (5.2).

საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების მე-10 მუხლის გარდა, მხარეთა შორის თანასწორობის უზრუნველყოფის აუცილებლობა გარანტირებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლებით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მხარეში მოიაზრება: ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადოკატი, გამომძიებელი, პროკურორი. ამავე კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. ამასთან, ამავე კოდექსის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო ვალდებულია მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა.

ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირდაპირი დაკითხვის დამთავრების შემდეგ მოწინააღმდეგე მხარე უფლებამოსილია აწარმოოს მოწმის ჯვარედინი დაკითხვა ამ კოდექსის 245-ე მუხლით გათვალისწინებული წესით. 245-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ჯვარედინ დაკითხვას აწარმოებს მხარე, რომელსაც დასაკითხი მოწმე არ გამოუძახებია. ხოლო 246-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოწმის დაკითხვის დროს დასმულ სადავო შეკითხვებს მხარის შუამდგომლობით განარიდებს სხდომის თავმჯდომარე.

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლო სხდომის ოქმების დეტალური შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ მოსამართლემ საკუთარი ინიციატივით, ისე რომ მხარეს არ დაუყენებია კითხვის განრიდების შუამდგომლობა, განარიდა მოწმის მიმართ დასმული შეკითხვა. ასევე, მხარეს - ბრალდებულ -- -- გარკვეულწილად შეუზღუდა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ უფლებები.

ამდენად, მოსამართლის მხრიდან იკვეთება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით განთვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტი (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

#### **4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს -- წლის -- ოქტომბრის №-- გადაწყვეტილებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, -- -- სასამართლოს მოსამართლე -- -- წლის -- ოქტომბრიდან გათავისუფლდა თანამდებობიდან, 65 წლის ასაკის მიღწევის გამო.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოება ხორციელდება მხოლოდ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ. გამომდინარე იქიდან, რომ -- -- აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, იგი არ

წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ დისციპლინური სამართალწარმოების სუბიექტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

-- -- 2018 წლის 07 დეკემბრის №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება ყოფილი მოსამართლის -- -- მიმართ.

**ზურაბ აზნაურაშვილი**

**დამოუკიდებელი ინსპექტორი**